



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



31/05/2017

14-07-4-201705311153



N 14

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 დადგენილება №14  
 2017 წლის 30 მაისი  
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები დაწართი №1-ის შესაბამისად;

**მუხლი 2.** დადგენილების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის გამგებელს უზრუნველყოს პარკირების ორგანიზებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს გიორგი ხელას



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს მჯდომარე

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები**

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

**1. წინამდებარე წესი არეგულირებს:**

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს.

ბ) წინამდებარე წესი არეგულირებს ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესებს იმ შემთხვევაშიც, როცა მიწის ნაკვეთი განკუთვნილი არ არის მხოლოდ პარკირების სპეციალური ადგილებისათვის, არამედ პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა და ავტომანქანების პარკირება წარმოადგენს მიწის ნაკვეთზე უკვე მომდინარე ძირითადი საქმიანობის დამატებით საქმიანობას და პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა ეწინააღმდეგება ძირითადი საქმიანობის უკეთ გამორეივლებას (მაგ. სასტუმროების მიერ საკუთარი ტაქსების ქონა, რომლებიც მოემსახურება თუნდაც მხოლოდ ამავე სასტუმროში დაბინავებულ პირს).

**2. წინამდებარე წესი არ არეგულირებს:**

ა) ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამზავრო გადაყვანასთან დაკავშირებით ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

ბ) ავტოსადგურების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით ავტომანქანების პარკირებასთან დაკავშირებულ საკითხებს;

გ) ავტომანქანების პარკირებისათვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებში ავტომანქანების პარკირების წესებს;

დ) ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების სხვა პირისათვის გადაცემის საკითხებს;

ე) ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების სადგურებში (მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები) ავტომანქანების პარკირების წესებს;

ვ) იმ მქსნიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზე, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის. შთ შორის მიწის სამუშაოებისათვის (ყველა სახის ტრაქტორი და თვითმხვალი მანქანა), თუ სატრანსპორტო საშუალების პარკირება ხდება სამშენებლო მოედანზე ან/და ასეთი სატრანსპორტო საშუალების შესაკლეთებ ან/და მფლობელი მომსახურების გაწევისა და სახელმწიკრულებო ურთიერთობის დამყარების მიზნით არ ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

*გ. ვაყენია*

**მუხლი 2. ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის მიზანი**

წინამდებარე წესის მიზანია:

ა) ადგილობრივი პარკირების გათვალისწინებით ავტომანქანების პარკირების ორგანიზების უზრუნველყოფა;

ბ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ) საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიციცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

დ) ქვეითად მოსიარულეთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;

ე) პარკირების სფეროს განვითარება;

ვ) ავტომანქანების პარკირებისას ან/და მოძრაობისას დანაკლებების გამორიცხვა;

**მუხლი 3. ტერმინთა განმარტება**

წინამდებარე წესის მიზნებისათვის წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტომანქანა - ყველა სახის სატრანსპორტო საშუალება;

ბ) სატრანსპორტო საშუალება - მთავარი სატრანსპორტო საშუალება ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვეტილებული კომბინაცია, თუ მისი წამყვანი წინამდებარე წესის შესაბამისად არ წარმოადგენს ქვეითს;

გ) ტაქსი - შესაბამისი საცნობარო ნიშნის მქონე მსუბუქი ავტომანქანა, რომელიც გამოიყენება გზაზე მგზავრთა არავრთავრებად გადაადგილებისათვის, მაგრამ აღნიშნული საქმიანობა არ წარმოადგენს რეგულარულ გადაადგილებას;

დ) პარკირება - ავტომანქანის მოძრაობის გამორჩეულად შეწყვეტა (დგომა), თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩახდომა-გადმოსხდომას ან ავტომანქანის დატვირთვა-გადმოტვირთვას;

ე) პარკირების ადგილები - ავტომანქანების დგომისათვის განკუთვნილი ადგილები;

ვ) პარკირების საერთო ადგილები - პარკირების ადგილები, სადაც პარკირების უფლება აქვს ყველა იმ ავტომანქანას, რომლებსთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებული არ არის პარკირების სპეციალური ადგილების განაზღვრა, თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ამ ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს პარკირების საერთო ადგილები, ზოგადად აკრძალული არ არის კონკრეტული სახეობის ავტომანქანის მსუბუქი, მოძრაობა, დგომა ან გარკრება;

ზ) პარკირების სპეციალური ადგილები - პარკირების ადგილები, რომლებზე წინამდებარე წესის შესაბამისად განისაზღვრება მომხატურების სფეროს ან/და სხვა ნიშნის მიხედვით დაჯგუფებული ავტომანქანების პარკირებისათვის;

თ) საზოგადოებრივი სივრცე - განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში მდებარე ქუჩა, მოედანი, სვერი, პარკი, პალი, ბუნებრივი და ხელოვნური ღანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები, რომლებზეც ავტომანქანის მოძრაობისას ხელმისაწვდომია ადამიანებისათვის;

ი) გზა - საგზაო მოძრაობის მონაწილეებისათვის მოწყობილი მიწის ზოლი ან ხელოვნური ნივთიერების ზედაპირი, რომელიც არსებობისას მოიცავს ავტომანქანების მოძრაობისათვის



განკუთვნილ ერთ ან რამოდენიმე საველ ნაწილს (ქუჩას), ტროტუარებს, გვერდულებს და გამყოფ ზოლებს;

ჟ) ქუჩა - გზის ელემენტი, განსაზღვრული ტერიტორიის საზღვრებში გადაადგილებისათვის განკუთვნილი საზოგადოებრივი სივრცის ავტომანქანების მოძრაობისათვის განკუთვნილი ნაწილი;

ლ) ტროტუარი - გზის ელემენტი, რომელიც მორთებულია საველ ნაწილიდან ან გამოყოფილია მისგან გაზონით და განკუთვნილია ქვეითის მოძრაობისათვის;

მ) საგზაო მოძრაობა - გზაზე ადამიანისა და ტვირთის ავტომანქანით ან მის გარეშე გადაადგილებისათვის არსებული ურთიერთობები;

ნ) საგზაო მოძრაობის მონაწილე - პირი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს მოძრაობის პროცესში, როგორც მძღოლი, მგზავრი ან ქვეითი;

ო) ქვეითი - პირი, რომელიც გზაზე, მაგრამ არ იმოქმედებს სატრანსპორტო საშუალებაში, ან არ ასრულებს რაიმე საგზაო სამუშაოს. ქვეითად ითვლება ასევე პირი ინვალიდის ეტლით ძრავის გარეშე, ასევე ველოსიპედის, მოპედის, მოტოციკლის, საქაბანე ოთხთავალის (მარხილის) ურკის, სამგებო ან ინვალიდის ეტლის წამყვანი;

პ) ავტოსაგზაო შემოხვევა - გზაზე ავტომანქანის მოძრაობისა ან/და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაზიანდა ავტომანქანა;

ჟ) სამშენებლო მოედანი - მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებით განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აუცილებელია სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და მისი მომასხურებისათვის;

**მუხლი 4. საერთო მოთხოვნები ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრის მიმართ**

1. ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ავტომანქანების ყველა სახეობის პარკირების ადგილებს ის მიმართ, თუ ამავე მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პარკირებისათვის განსაზღვრული ადგილები სახანძრო ჰიდრანტის, საკანალიზაციო და სანიაღვრე ქუბის, ნარჩენების შეგრობის კონტეინერების განთავსების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ ორი მეტრით, ხოლო გზავევარედიებზე ქუჩების გადაკვეთის დაწყების ადგილიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 3-4 მეტრით.

3. აკრძალულია პარკირებისათვის გამოყენებულ იქნას:

ა) ის ადგილები, რომლებიც განკუთვნილია ქვეითად მონიარულებთა გადასასვლელებისათვის;

ბ) ავტობუსების, ადგილობრივი სატალაქო რეგულარული საშუალო გადატანების მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის და მათი სელაგეზის მისართულებით მგზავრთა ჩახხდომა-გადმობხედომისათვის (ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის) განკუთვნილი ადგილები;

გ) ქუჩა მთლიანად ან ნაწილობრივ, რომელზეც შესვლა ან მოძრაობა აკრძალულია.

4. ლანჩეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში პარკირების ადგილების განსაზღვრისას, ასევე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში

არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ადგილების განსაზღვრის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

- ა) ქალაქის განვითარების ინტერესები;
- ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;
- გ) სატრანსპორტო ნაკადი;
- დ) ქუჩების გამტარუნარიანობა;
- ე) საგზაო მოძრაობის წესები;
- ვ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;
- ზ) საქალაქო და საქალაქთაშორისო (სარაიონთაშორისო) სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სამართლებრივი სქემა;
- თ) ეკოლოგიური მდვიობრიობა;
- ი) საზოგადოების სხვა ინტერესები.

5. პარკირების სპეციალურ ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანების პარკირება, რისთვისაც განკუთვნილია პარკირების აღნიშნული ადგილები, თუ ამავდროულად სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან სხვა პირს, რომელიც მართავს შესაბამისი საცნობარო ნიშნის მატარებელ ავტოსატრანსპორტო საშუალებას, პარკირების უფლება აქვს სპეციალური პარკირების ადგილებზე, თუ უხლოესი 100 მეტრის რადიუსში არ არის განსაზღვრული პარკირების საერთო ადგილები და ავტომანქანის პარკირება გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ჩახდომისათვის ან გადმოსხდომისათვის.

7. ქუჩებში განსაზღვრული პარკირების ადგილები მონიშნვის ხაზით გამოჯნული უნდა იყოს ტერიტორიის სხვა ნაწილისაგან.

8. აკრძალულია პარკირების ადგილებზე ავტომანქანის პარკირება მონიშნვის ხაზის დარღვევით - მონიშნვის ხაზს გარეთ.

9. სავალდებულოა პარკირების საერთო ადგილებზე რამიდანამე ადგილი გათვალისწინებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის, ამ მოწინააღმდეგე ადგილები აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი საცნობარო ნიშნით.

10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის მართვის ქვეშ არსებული ავტომანქანის პარკირებისათვის განკუთვნილ ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანის პარკირება, რომელსაც აქვს შესაბამისი საცნობარო ნიშანი.

11. იმ ავტომანქანების, რომლებსაც ვინაშიც არაა წინამდებარე წესით გათვალისწინებული პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე ანდა ნებისმიერ სხვა ადგილებზე, რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული ავტომანქანების პარკირებისათვის, პარკირება დასაშვებია, თუ ავტომანქანის მფლობელის მიერ პარკირების დაწყებისა და დასრულების დროს არ ხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა და თუ პარკირების კონკრეტულ ადგილებზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტომანქანის დგომა ან გაჩერება.

12. ამ მუხლის მე-11 პუნქტის მოწინააღმდეგე, ავტომანქანის მფლობელი ვალდებულია ავტომანქანაზე განთავსებული არ ჰქონდეს ის საცნობარო ნიშანი, რომლის ავტომანქანაზე

განთავსებზე სავალდებულოა იმ მომსახურების გაწევის დროს, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში ავტომანქანის პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

#### **მუხლი 5. პარკირების სახეობები**

1. წინამდებარე წესის მოზნებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების ადგილები იყოფა ორ ძირითად სახეობად - პარკირების საერთო ადგილები და პარკირების სპეციალური ადგილები.

2. პარკირების სპეციალური ადგილები თავის შრიც იყოფა შემდეგ ქვესახეობებად:

ა) ტაქსების პარკირების ადგილები;

ბ) იმ ავტომანქანების პარკირების ადგილები, რომლებიც სასყიდლოთ ან უსასყიდლოდ ახორციელებენ მომსახურებას ტვირთების გადაზიდვა-გადატანის სფეროში.

3. წინამდებარე წესის მოზნებისათვის, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტომანქანების პარკირების მოწყობილობები ურდელდება ასევე ყველა იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების პარკირებაზე, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო საქმიანობისათვის, მათ შორის მიწის სამუშაოებისათვის (ყველა სახის ტრაქტორი და თვითსავალი მანქანა), თუ ასეთი სატრანსპორტო საშუალების მფლობელი მომსახურების გაწევასა და სახელმწიფოებო ურთიერთობის დამყარების მიზნით ახდენს იმ ტერიტორიაზე პარკირებას, რომელიც არ იმყოფება მის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია განსაზღვროს პარკირების სპეციალური ადგილების სხვა ქვესახეობები. პარკირების სპეციალური ადგილების ქვესახეობის განსაზღვრასთან ერთად სავალდებულოა განსაზღვროს პარკირების აღნიშნული ადგილებით სარგებლობის წესებიც.

#### **მუხლი 6. პარკირების ორგანიზება**

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობა უფლებამოსილია პარკირების ორგანიზება მოლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შივრ დაფუძნებული იურიდიული პირის მეშვეობით, წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შივრ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

ა) პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის, პარკირების საერთო ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დადგენას (მართობული დგომა, 90 გრადუსიანი დგომა ან/და 45 გრადუსიანი დგომა);

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მოლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას;

გ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე ცალკეული ავტომანქანის პარკირებისათვის გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენას;

დ) პარკირების ადგილების შესაბამისი საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას, პარკირების ადგილებზე სამიტარითულ-პოციენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას.



ე) საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

3. ფორმალური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მრეწველობურ პარკირების ორგანიზება გულისხმობს:

- ა) პარკირების ადგილების მოწოდებრივად გამოყენების უზრუნველყოფას;
- ბ) პარკირების ადგილების საცხოვარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას;
- გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას;
- დ) პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას;

ე) პარკირების ადგილების მოწყობაზე ღანწხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობის წერილით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას;

ვ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას;

#### **მუხლი 7. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა**

1. პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი წესით, უსასყიდლოდ გადაეცემა:

- ა) სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელ და წარმომადგენლობითი ორგანოებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;
- ბ) ღანწხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ღანწხუთის მუნიციპალიტეტი, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;
- გ) სახელმწიფოს მიერ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;
- დ) ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი ავტონომიური რესპუბლიკებია, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;
- ე) დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;
- ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებს და მისიებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე;

2. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ღანწხუთის მუნიციპალიტეტის განკუთვნილი ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

3. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნასთან ერთად ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ღანწხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას წარუდგენენ პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტომანქანების დგომის წესებს (შართობული დგომა, 45 გრადუსიანი დგომა, 90 გრადუსიანი დგომა), თუ პარკირების ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება.

უამე დადგენილი არ არის აღნიშნული წესები ან/და მიზანშეწონილია ავტომატების დგომის უამე დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესების დადგენა;

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან პარკირებისათვის გადაცემული ადგილების, ღანწულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესანამისად კვილიმოწყობა განხორციელონ ღანწულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ თანხმობის წერილით დაწესებულ ვადაში.

5. დაუმუშავებელი უნასყიდლოდ გადაცემულ იქნეს პარკირების სპეციალური ადგილების ორგანიზების უფლება.

6. პარკირების ორგანიზების უფლების უნასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია რაიმე სახის საფასურის დაწესება.

7. პარკირების ორგანიზების უფლების უნასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია გამოყენებულ იქნას პარკირების სპეციალურ ადგილებად.

**მუხლი 8. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ღანწულის მუნიციპალიტეტის მხრიდან გაღმორიგად შეწყვეტა**

1. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების ღანწულის მუნიციპალიტეტის მხრიდან გაღმორიგად შეწყვეტის საფუძველია:

ა) გაფრთხილების მოუხედავად დაწესებულ ვადაში სახელშეკრულები პარკირების შეუსრულებლობა, მათ შორის გაფრთხილების მოუხედავად სახელშეკრულები პარკირების განმეორებით დარღვევა;

ბ) გაფრთხილების მოუხედავად წინამდებარე წესის მოთხოვნების დარღვევა;

გ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ადგილს, რომელსაც მოიცავს გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, აღარ განსაზღვრავს პარკირების ადგილად;

დ) ადგილი, რომელსაც მოიცავს გადაცემული პარკირების ორგანიზების უფლება, საჭიროა კომუნალური ინფრასტრუქტურის (სანიაღვრე არხების, წყლის კანალიზაციის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა ხაზოვანი ნაგებობები) ობიექტების სამშენებლო (ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია- რეაბილიტაცია, დემონტაჟი) სამუშაოებისათვის;

ე) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

2. პარკირების ორგანიზების უფლების პირდაპირი განკარგვის წესით უნასყიდლოდ გადაცემისას გარიგების შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე წესით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით.

**მუხლი 9. პარკირების საერთო ადგილების განსაზღვრა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ღანწულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე**

1. პარკირების საერთო ადგილებისათვის ძირითადად განისაზღვრება ქუჩები და სხვა საზოგადოებრივი სივრცეები, თუ წინამდებარე წესით სხვა რამ არ არის დადგენილი.



2. პარტიების საერთო ადგილებზე დასაშვებია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ქუჩის განსაზღვრა, თუ რომელიმე ქუჩაზე ან ქუჩის რომელიმე მოსაკვეთში განთავსებული არ არის „დეგონს აკრძალულია“, „გარკრება აკრძალულია“ ან „შესვლა აკრძალულია“ საცნობარო ნიშანი.

3. აკრძალულია საერთო პარტიების ადგილებზე ტროტუარების განსაზღვრა.

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების პარტიების ადგილებზე განსაზღვრისას აკრძალულია ქუჩის ერთსადაიმავე მოსაკვეთში უშუალოდ მოპირდაპირე ორივე მხარის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქუჩას გააჩნია გზატკეცილი და გზატკეცილის თითოეულ მხარეს ავტომანქანების მოძრაობა არის ცალმხრივი ან/და როცა აღნიშნულ ნაწილში ქუჩის სიგანე არის 18 მეტრზე მეტი.

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ადმინისტრაციული ორგანოების, სხვა თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ორგანოების, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციების და მისიების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადვოკატურული მუშაობის დაგეგმვის მიზათადი შესასვლელების უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით შეიძლება გამოყენებული იქნას შესაბამისი ორგანოს (დაწესებულების) მიერ შიგნით სამსახურებრივი ავტომანქანების პარკირებისთვის.

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

7. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირებისთვის გამოყოფილი ადგილებია:

ა) რესტორანი „ზაბუნას“ და „ტექნოლოგ-სერვისის“ მიმდებარე ტერიტორია.

ბ) ქალაქ ლანჩხუთის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორია. (გვესვლის იფხვის წინ)

გ) ცენტრალური სკვერის მიმდებარე ტერიტორია.

დ) უნივერსიტეტის წინ მიმდებარე ტერიტორია.

ე) აფთიაქი „მპ“ მიმდებარე ტერიტორია.

ვ) ე.წ. „თაზის ხაზის“ მიმდებარე ტერიტორია.

ზ) ყოფილი სასტუმროს წინ მიმდებარე ტერიტორია.

თ) ქალაქის ადმინისტრაციული წარმომადგენლობის გვერდით მიმდებარე ტერიტორია.

ი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მიმდებარე ტერიტორია.

კ) ყოფილი ჩაის ფაბრიკის წინ მიმდებარე ტერიტორია.

ლ) ლანჩხუთის რკინიგზის მიმდებარე ტერიტორია.

მ) კლინიკა „ავერსის“ გვერდით მიმდებარე ტერიტორია.

შენიშვნა: ზემოაღნიშნულ ადგილებში სვალდებულოა გამოყოფილი იქნას 30მ პირთა ავტომობილების პარკირებისთვის გათვალისწინებული საცნობარო ნიშანი.

**მუხლი 10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერების წესი.**

1. აკრძალულია ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ და მეორე ზოლში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება ხუთ წუთზე მეტი დროით, თუ ეს არ ეხება მუზეუმთა ჩასხდომა-გადმოსხდომას.

2. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ ზოლში ნებადართულ იქნას მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, გამგებლის პირველი მოადგილის/მომადგილის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება.

3. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მეორე ზოლში ნებადართულია მხოლოდ გამგებლის/საკრებულოს თანამშრომელთა და საკრებულოს წევრთა საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება.

4. აღნიშნულ ზოლებში დგომა/გაჩერების უფლების მქონე ავტომობილებზე გაიკეთება დადგენილი ნიშნების საშუალებით.

**მუხლი 11. პარკირების საერთო ადგილების სარგებლობის საერთო წესები**

1. პარკირების საერთო ადგილებზე დასაშვებია მხოლოდ იმ ავტომანქანების პარკირება, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებული არ არის პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა.

2. იმ ავტომანქანების, რომლებისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების საერთო ადგილებზე პარკირება დასაშვებია, თუ ავტომანქანის მფლობელის მიერ პარკირების დაწვევისა და დასრულების დროს არ ხდება შესაბამის საფასურების გაცემა, თუ პარკირების კონკრეტულ ადგილზე ზოგადად არ არის აკრძალული კონკრეტული სახეობის ავტომანქანის დგომა ან გაჩერება.

3. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედებისათვის, ავტომანქანის მფლობელი ვალდებულია ავტომანქანაზე განთავსებული არ ჰქონდეს ის საცნობარი ნიშანი, რომლის ავტომანქანაზე განთავსებაც სავალდებულოა იმ მომსახურების გაწევის დროს, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა. სხვა შემთხვევაში ავტომანქანის პარკირება ჩაითვლება პარკირების წესების დარღვევად.

4. ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება როგორც ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, სხვა ტერიტორიებზე პარკირების საერთო ადგილებზე ისე ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე პარკირების საერთო ადგილებზე.

**მუხლი 12. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრა ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სხვა მიწის ნაკვეთებზე.**

1. ტაქსების პარკირების ადგილებისათვის შეიძლება განსაზღვრულ იქნას ქუჩები და სხვა საზოგადოებრივი სივრცეები, ასევე ნებისმიერი ის მიწის ნაკვეთი, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელზე ან/და

გვერდებარება საჯარო რეესტრში ღანწხუთის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრაციას.

2. ტაქსების პარკირების ადგილად განსაზღვრულია ქალაქის ტერიტორიაზე შემდეგი ადგილები:

- ა) „ტექნიკების“ წინ
- ბ) კლინიკა „ჯანმრთელობის“ მომდებარე ტერიტორია.
- გ) სემპრსარკეტი „ნიკა“ და „მარგი“-ის წინ მომდებარე ტერიტორია.

3. აკრძალულია ტაქსების პარკირების ადგილებად ტროტუარების განსაზღვრა.

4. ღანწხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების ტაქსების პარკირების ადგილებად განსაზღვრისას აკრძალულია ქუჩის ერთხადაიმავე მონაკვეთში უშუალოდ მოპირდაპირე ორივე მხარის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქუჩას გააშენია გზაგამყოფი და გზაგამყოფის ქუჩის თითოეულ მხარეს ავტომანქანების მოძრაობა არის ცალმხრივი.

5. აკრძალულია ტაქსების პარკირების ადგილებად განსაზღვრულ იქნას ღანწხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, დიპლომატიური წარმომადგენლობების, სერთაშორისო ორგანიზაციების და მოსიების და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ადგილსამყოფელი შენობა-ნაგებობების ძირითადი შესასვლელების უშუალოდ მომდებარე ტერიტორიები.

6. ღანწხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია დააწესოს ის მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ავტომანქანა (დაწებებულ მოთხოვნებთან ავტომანქანის შესაბამისობა) ტაქსების პარკირების ადგილებზე პარკირებისათვის (ავტომანქანის მარცხ, ტექნიკური მდგომარეობა, გამოშვების წელის მინიმუმის განსაზღვრა, ფერი, მუდმივი საცნობარო ნიშანი, საცნობარო ნიშანი, რომელიც გამოიყენება ავტომანქანის მიერ უშუალოდ მოძასებურების გაწვევის დროს, მბღოლის უნიფორმა და სხვა).

**მუხლი 13. ტაქსების პარკირების ადგილების განსაზღვრა ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე**

ფიზიკური თუ იურიდიული პირის ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისას გამოიყენება წინამდებარე წესის მე-4 მუხლის მოთხოვნები.

**მუხლი 14. ტაქსების პარკირების ადგილების სარგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები**

1. ტაქსების პარკირების ადგილებზე დასამკვებია მხოლოდ იმ ავტომანქანის პარკირება, რომელზეც ქვევით მუხავრთა გადაყვანას, მაგრამ მათი საქმიანობა არ წარმოადგენს ადგილობრივ საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს.

2. წინამდებარე მუხლის მოხრებისათვის მუხავრების გადაყვანასთან ერთად იმ ტვირთის გადაზიდვა, რომელიც თან აქვს მუხავრს, არ ცვლის ავტომანქანის მომსახურების სფეროს.



3. აკრძალულია ტექსად გამოყენებული ავტომანქანის პარკირება იმ ადგილებზე, რომლებზეც განკუთვნილი არ არის ტექსების პარკირებისათვის.

4. ავტომანქანის პარკირების საერთო ადგილებზე ან/და ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც განსაზღვრული არ არის ტექსების პარკირებისათვის, იმ დროით დგომა, რომელიც განკუთვნილია მგზავრთა ჩახდომა-გადასხდომისათვის, არ ითვლება პარკირების წესების დარღვევად. ასეთ დროს ავტომანქანის მძღოლი არ თავისუფლდება სავაჟო მოძრაობის წესების დაცვის ვალდებულებისაგან.

### **მუხლი 15. წესის დარღვევა**

პარკირების წესების დარღვევას მოკლუთუნება:

ა) პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირება, რომლისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილების განსაზღვრა;

ბ) პარკირებისათვის განსაზღვრულ ადგილებზე დგომის დადგენილი წესების (მართობული დოგმა, 90 გრადუსიანი დოგმა ან/და 45 გრადუსიანი დოგმა) დარღვევით ავტომანქანის პარკირება;

გ) ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში ავტომანქანის პარკირება, თუ აღნიშნული ადგილებისათვის განთავსებული არ არის პარკირების დამკვეთის საცნობარო ნიშანი;

დ) შესაბამისი საცნობარო ნიშნის არსებობისას, ქუჩის იმ ადგილებზე ავტომანქანის პარკირება, სადაც აკრძალულია ავტომანქანის პარკირება;

ე) პარკირების სპეციალურ ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირება, რომლისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად განსაზღვრული არ არის პარკირების სპეციალური ადგილები;

ვ) იმ ავტომანქანების მიერ, რომლისთვისაც წინამდებარე წესის შესაბამისად გათვალისწინებულია ავტომანქანების სპეციალური ადგილების განსაზღვრა, პარკირების სპეციალურ ადგილებზე დადგენილი წესის დარღვევით ავტომანქანის პარკირების განხორციელება;

ზ) ქუჩებში და სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, ასევე ლანჩბუთის მუნიციპალიტეტისათვის მოკლუთუნებულ მრჩის ნაკვეთებზე პარკირების ორგანიზების უფლების თვითნებურად განხორციელება;

თ) სხვა ქმედება, რომელიც განხორციელებაც წინამდებარე წესით აკრძალულია, ასევე ქმედება, რომლის განხორციელებაც ხდება წინამდებარე წესისაგან განსხვავებულად.

ი) პარკირების საერთო ადგილებზე იმ ავტომანქანის პარკირების შემთხვევაში, რომლისთვისაც წინამდებარე წესით გათვალისწინებულია პარკირების სპეციალური ადგილები.

კ) ქუჩის (მოედნის) გარდა სხვა საზოგადოებრივ სივრცეებში, მათ შორის ტროტუარზე ავტომანქანის პარკირებისას, სადაც განთავსებული არ არის პარკირების საცნობარო ნიშანი ან/და მონიშვნის ნიშანი.

ლ) საცნობარო ნიშნის გარეშე ავტომობილის პარკირება შპს პართათვის განსაზღვრულ ადგილზე.

### **მუხლი 16. საცნობარო ნიშნის გაცემა**

1. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს გამგეობას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N646 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული მუზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა საადრიცხო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ. გამგეობა უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

2. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები არასრულწლოვანი მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს გამგეობას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N646 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული მუზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა საადრიცხო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, დახადების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. გამგეობა უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

3. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს გამგეობას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N646 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული მუზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა საადრიცხო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, პირის მუზღუდული ქრუდუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ქსეროასლი, მშობლობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი

დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქეროასლი გამგეობა უფლებამოსილია  
დასატებით მოიხილოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა  
დოკუმენტი.

*ქ. ვაჭაშვილი*